ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების

კომისიის სხდომის

ოქმი N02

დ.ლენტეხი. **29.05.2024 წ.**

მიმდინარე წლის 29 მაისს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის თავმჯდომარე დალის ტვილდიანი, წევრები: ამირან ქურასბედიანი, სოსო ავალიანი, მირიან ლიპარტელიანი,საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით პირველი, სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე თორნიკე გასვიანი,სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ონიანი.

კომისიის სხდომას ესწრებოდა დაინტერესებული პირი ქეთევან აფაქიძე.

კომისიის თავმჯდომარემ დალი ტვილდიანმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ლესემაში მცხოვრები ქეთევან აფაქიძის განცხადების განხილვა.**

   მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 16 მაისს კომისიას დაეწერა მოქალაქე ქეთევან აფაქიძის განცხადება.

   განცხადების თანახმად ქეთევან აფაქიძე აღნიშნავს რომ, რომ ბათილად იქნეს ცნობილი სოფ. ხელედის ადმინისტრაციულ ერთეულში 23/09/2018 წელს თვითნებურად დაკავებული აწ. გარდაცვლილი ერმილე ჩანქსელიანის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება საკადასტრო კოდით N87.03.26.286 დაზუსტებული ფართობი 380,00 კვ.მ. შენობა N-01. რომლის ზედდება ფიქსირდება სახელმწიფო საკუთრებაში. აღნიშნული ქონება საკადასტრო კოდით N87.03.26.286 დაზუსტებული ფართობი 380,00 კვ.მ. შენობა N-01 22/02/2019 წელს დაურეგისტრირდა ერმილე ჩანქსელიანის შვილს გომიკო ჩანქსელიანს. განცხადების ბოლოს ქეთევან აფაქიძემ მოითხოვა აღნიშნული დოკუმენტის ბათილად ცნობა და აღნიშნული ქონების სახელმწიფოსთვის დაბრუნება. შესაბამისად მიწის უძრავი ქონება საკადასტრო კოდით N87.03.26.509 დაზუსტებული ფართობი 404 კვ.მ შენობის

გარეშე (მომზადების თარიღი 21/02/2023წ) დაუბრუნდება მას - ქეთევან აფაქიძეს.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს და საკრებულოს შესაბამის კომისიას არ აქვს უფლებამოსილება ბათილად ცნოს საკადასტრო კოდით N87.03.26.286 დარეგისტრირებული საკუთრების უფლება. ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ და გამოვნახოთ სწორი გზა აღნიშნული საკითხის დასასრულებლად.

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ონიანმა აღნიშნა,რომ საკრებულოს კომპეტენციის ფარგლებში მხარს ვუჭერთ დაინტერესებულ პირს ქეთევან აფაქიძეს იმ კუთხით, რომ გაირკვეს და დასრულდეს აღნიშნული საკითხი.

კომისიის თავმჯდომარემ დალი ტვილდიანმა კომისიის წევრებთან ერთად გარკვეული მსჯელობის შედეგად მიიღო გადაწყვეტილება:

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გადაეგზავნოს წერილი, რომ სააგენტოს შესაბამისი სამსახურების მეშვეობით კიდევ ერთხელ გადაიხედოს განცხადებაში აღნიშნულ საკადასტრო კოდებზე განხორციელებული უფლების რეგისტრაციები და შესაბამისი პასუხი ეცნობოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს. წერილს თან დაერთოს ქეთევან აფაქიძის განცხადების ასლი.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების

კომისიის თავმჯდომარე: /დ. ტვილდიანი/